Существуют различные экологические изучения, программы и проекты на стадии планирования и внедрения, более или менее рассматривающие эти проблемы, такие как:

- "Оценка нужд и миссия программирования в рамках Программы интегрированной технической кооперации регионов СНГ и Восточной Европы" Международной Морской Организацией (ММО 1996)
- "ТЕО приемных приспособлений в Черноморских портах Грузии, Украины и Российской Федерации", Тасис (1997)
- "План стратегического действия для реабилитации и защиты Черного моря (BS-SAP)", глобальными благоприятными условиями окружающей среды, Программа окружающей среды Черного моря (подписано в 1996 году всеми 6 прибрежными странами Черного моря).
- "Грузия - Интегрированный проект окружающей среды Черного моря"
- "Грузия - Проект реабилитации муниципальной инфраструктуры", оба находятся на стадии планирования, должно быть финансировано Всемирным Банком.
- Другие.

Тесная координация и сотрудничество между сторонами, вовлеченными в проект, абсолютно необходимы для того, чтобы определить вопросы первой значимости.

5.1 Организация сбора и удаления отходов

Одним из самых больших источников загрязнения являются непереработанные муниципальные загрязненные воды и неконтролируемое размещение твердых отходов. Размещенные материалы загрязняют прибрежную территорию мусором, органическими отходами и бактериями.

Как показано в главе 4.2.3., значительным источником загрязнения являются суда и необходимость в приемных приспособлениях для гавани является очевидной. BS-SAP дает четкое представление об этом случае и сроки для внедрения. В соответствии с BS-SAP, будут установлены следующие приемные приспособления гавани для:

- мусора, в декабре 1999;
- нефти, в декабре 2000; и
- химикатов, в декабре 2002."

Приобретение приемных приспособлений, особенно для нефтяных и нефтесодержащих отходов (MARPOL приложение I) относительно дорогостоящее. Принимая во внимание расходы на эксплуатацию и обслуживание и размещение отходов, это будет достаточно большой нагрузкой для порта. Для сокращения расходов желательно, чтобы порты Грузии - Поти, Батуми и Супса (нефтяной терминал)- использовали одно общее нефтеприемное приспособление. Самым подходящим местом для этого является Супса, так как

- она расположена более или менее в центре трех портов (расстояние до Поти прилб. 10 км., до Батуми - прилб. 30 км.).
- когда к концу 1998 года начнется эксплуатация перегрузочных приспособлений, в Супса ожидается высокое количество танкеров (с сырой нефтью и нефтепродуктами).
- недавно подписанный контракт о строительстве в Супса нефтеперерабатывающего завода создает наилучшие условия для переработки нефтесодержащих отходов судов.

Размещение судовых нечистот (MARPOL Прил. IV) было рассмотрено ранее. (см.). Городская канализационная система как в Поти, так и в Батуми, абсолютно недостаточная и является постоянным источником загрязнения морской среды. Улучшение канализационной системы должно быть произведено в первую очередь для обоих городов.

Для удаления мусора с кораблей (MARPOL Приложение V) во время планирования терминалов необходимо предусмотреть достаточное место для контейнеров для сбора твердых отходов. Тип контейнера должен быть выбран в соответствии с размещением муниципальных отходов. Оба порта поддерживают идею о сжигании твердых отходов на территории порта. С точки зрения здоровья они не хотят выносить мусор с иностранных судов за пределы территории порта. Однако устройство для сжигания очень дорогостоящее. Если предусматривается сжигание воспламеняющихся твердых отходов план должен быть разработан совместно с представителями жилой и эксплуатационной территорий.

Прежде всего необходимо строгое претворение в жизнь закона против загрязнения.

5.2 Планирование готовности в непредвиденных и чрезвычайных ситуациях

Ключевыми требованиями к портам является ответственность за малые и средние разливы любого вида. Поэтому приобретение очистительного/сборочного оборудования и специального оборудования для разлива и соответствующей тренированной команды для его эксплуатации являются главными для обоих портов.

Необходимое оборудование перечислено ниже:

Оборудование	Поти	Батуми
Портовый бон <ul style="list-style-type: none"> • 900 мм в высоту • вкл. буксирное приспособление 	400 м	1,000 м
Плавающий сборщик <ul style="list-style-type: none"> • вкл. снабжение энергией 	1 механизм	1 механизм
Сборочное судно	доступно	нуждается в ремонте

Таблица 4: Необходимое оборудование по борьбе с разливами нефти в портах Поти и Батуми

План непредвиденных обстоятельств должен быть подготовлен в обоих портах. Он должен предоставлять ясную схему властей и их обязанности во время таких случаев. В соответствии с

политической деятельностью, которая должна быть внедрена в пределах BS-SAP, эти планы местного и национального значения должны быть разработаны и претворены в жизнь к декабрю 1998 года.

Вместе со строительством нового нефтяного терминала в Супса, переработка нефтепродуктов будет иметь меньшее значение для портов Поти и Батуми, принимая во внимание значительное количество танкеров с сырой нефтью и нефтепродуктами, ожидаемое в Супса к концу 1998 года.

Поэтому в обязанности Супса будет входить обеспечение высококачественного оборудования для разливов нефти, а также составление наброска планов в случаях непредвиденных обстоятельств.

5.3 Необходимость в мониторинге окружающей среды.

На настоящей стадии развития не появились специфические аспекты по окружающей среде, которые бы требовали бы защиту, обеспечиваемую строительством и/или оперативным мониторингом. Эти планы развития, однако, должны рассматриваться как промежуточное решение в течение следующих трех лет. Темпы роста грузооборота в обоих портах требуют строительства нового терминала, включая дноуглубительные и мелиоративные работы. В этом случае должны быть определены смягчающие меры или меры компенсации, и преследование мониторинга окружающей среды.

Том 5

Анализ Окружающей Среды

Приложения

Приложение 1

Закон о Государственной Экологической
Экспертизе Грузии

ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

ს ა ხ ე ლ მ ფ ი ზ ო ე კ ო ლ ო გ ი უ რ ი

ე მ ს კ მ რ ტ ი ზ ი ს შ მ ს ა ხ ე ბ

Закон о Государственной Экологической
Экспертизе Грузии

თ ა ვ ი I

ზ ო ბ ა დ ი დ ე ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

მ უ ხ ლ ი 1. ს ა ხ ე ლ მ ფ ი ზ ო ე კ ო ლ ო გ ი უ რ ი ე მ ს კ მ რ ტ ი ზ ა

1. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქმიანობა მოიცავს სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვა საქმიანობას, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელებას, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანების და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას.

2. საქმიანობის კატეგორიათა ჩამონათვალს, რომელიც გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზას, განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა. კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

3. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე უზრუნველყოს კონტროლი გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე.

4. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის აუცილებელი პირობა საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 2. კანონმდებლობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონს, ასევე, სხვა საკანონმდებლო აქტებს.

მუხლი 3. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპები

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპებია:

1. საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
2. საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;
3. გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;
4. ექსპერტთა დამოუკიდებლობა და მათი უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;
5. ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;
6. ექსპერტიზის ჩატარების საჯაროობა, საზოგადოებრიობის მონაწილეობა და მისი აზრის გათვალისწინება.

თავი II

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების

სფეროში უფლებამოსილი ორგანო

მუხლი 4. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო, მისი უფლება-მოვალეობანი

1. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლება აქვთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ და მისდამი დაქვემდებარებულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალურ (საქალაქო) სამმართველოებს (ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების

კომიტეტის ჩათვლით) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური (საქალაქო) სამმართველოების, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის რაიონულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს (შემდგომ: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოები).

2. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოვალეობაა:

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დებულება;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს ექსპერტიზის ჩატარების პროცესისათვის საჭირო ნორმატიულ-ტექნიკური და ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტები.

3. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოს მოვალეობაა:

შექმნას საექსპერტო კომისიები ამ კანონით გათვალისწინებული საექსპერტო ობიექტების განსახილველად;

უზრუნველყოს ექსპერტიზის პროცესი საჭირო ინფორმაციით;

რეგისტრაციაში გაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტები და შექმნას მათი მონაცემების ბაზა;

ითანამშრომლოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საკითხებში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან.

4. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლება აქვს:

დადგენილი წესის შესაბამისად საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად მოიწვიოს უცხოელი სპეციალისტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საექსპერტო პროექტი სახელმწიფო საიდუმლოებაა.

5. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოს უფლება აქვს:

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისაგან და სახელმწიფო იურიდიული პირებისაგან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესისათვის უსასყიდლოდ მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია (საცნობარო, სტატისტიკური და სამსახურებრივი სარგებლობის ინფორმაციის ჩათვლით), თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომელთაც არ მიუღიათ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

6. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია:

უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების პროცედურის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ნორმატიულ-ტექნიკურ და ინსტრუქციულ-მეთოდურ დოკუმენტებთან;

წარუდგინოს გასაცნობად საექსპერტო ობიექტის განმცხადებელს (საქმიანობის სუბიექტს) საკანონმდებლო, ნორმატიულ-ტექნიკური და ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზებასა და ჩატარებას;

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მოთხოვნისას გააცნოს დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას;

შეატყობინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებმაც წარმოადგინეს არგუმენტირებული შენიშვნები საექსპერტო ობიექტის შესახებ, მათი შენიშვნების განხილვის შედეგები;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მოთხოვნისას მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ საექსპერტო ობიექტზე სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგების შესახებ.

მუხლი 5. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასაბუთების წესები

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტს წარმოადგენს დამასაბუთებელი დოკუმენტაცია ყველა იმ საქმიანობაზე, რომლის ჩამონათვალში სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა გარდა შედის:

ინფრასტრუქტურული (ურბანიზაციის და ქალაქგეგმარების, მრეწველობის, ენერგოსისტემების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების პროგრამებისა და დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების, საავტომობილო გზების, რკინიგზებისა და აეროდრომების, ხიდებისა და ესტაკადების, ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების, მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების, სასტუმრო და საკურორტო კომპლექსების, სპორტული კომპლექსების და ნაგებობებისა და ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულოზის საავადმყოფოების პროექტების ჩათვლით), განსახლების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმებისა და პროგრამების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განთავსების სქემების, გეგმებისა და პროგრამების პროექტები, რომლებიც უნდა მიიღონ, მოიწონონ ან დაამტკიცონ სახელმწიფო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებმა;

საქმიანობასთან დაკავშირებული მშენებლობის, რეკონსტრუქციის, კონსერვაციის, გაფართოების, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების პროექტები (საქმიანობის სუბიექტების საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად);

იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის გრძელვადიანი პროგრამა, სადაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა ეკოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის გამო;

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის სქემები და გეგმები;

ტერიტორიების დანიშნულებისა და სტატუსის შეცვლის პროექტები და პროგრამები;

საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის გამიზნული ყველა სახის სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების განლაგების სქემები და პროექტები (ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი).

მუხლი 6. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი

1. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება საქმიანობაზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოდგენის შემდეგ. განაცხადი უნდა შეიცავდეს საქმიანობაზე დამასაბუთებელ დოკუმენტაციას, რომელიც მოიცავს საქმიანობის სუბიექტის განცხადებას ნებართვის მიღების თაობაზე, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს, კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის კატეგორიებზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და მოკლე ანოტაციას.

2. გადაწყვეტილება, საჭიროა თუ არა დამასაბუთებელ დოკუმენტაციასთან ერთად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა, მიიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას განსაზღვრავს "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულება, რომელსაც შეიძლება და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

4. საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფარგლებში სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას ატარებს და შესაბამისად სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას საქმიანობის კატეგორიების მიხედვით ამზადებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

მუხლი 7. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

1. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგები შეაქვთ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საექსპერტო კომისია და ამტკიცებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო.

2. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა ვაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დამასაბუთებელი დოკუმენტაცია:

შესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;

მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;

ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს, ავარიული სიტუაციების შესაძლებელი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა ჩათვლით.

3. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მოქმედების ვადა და პირობები, კანონმდებლობით დადგენილ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფარგლებში საქმიანობის კატეგორიების მიხედვით, განისაზღვრება დებულებით "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ".

თავი III

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)

მუხლი 8. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს საქმიანობაზე დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე მათი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას.

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობის სუბიექტი.

3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას და ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და დებულება "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

თავი IV

საქმიანობის სუბიექტის უფლებები

და მოვალეობები სახელმწიფო ეკოლოგიური

ექსპერტიზის ჩატარების სფეროში

მუხლი 9. საქმიანობის სუბიექტის უფლებები სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს :

წარუდგინოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 10. საქმიანობის სუბიექტის მოვალეობები სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის სუბიექტი მოვალეა:

სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარუდგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესის დაფინანსება; საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ განახორციელოს დამასაბუთებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქმიანობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის პირობების შესაბამისად.

თავი V

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დავინანსება

მუხლი 11. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დავინანსების წესი

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები არის ნაწილი საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესის ორგანიზების უზრუნველსაყოფად საჭირო მთლიანი ხარჯებისა, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად გაიღებს საქმიანობის სუბიექტი.

საქმიანობის სუბიექტის მიერ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისა და ჩატარების ასანაზღაურებელი ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენის ღირებულების ხარჯებს.

თავი VI

პასუხისმგებლობა "სახელმწიფო ეკოლოგიური

ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის

დარღვევისათვის

მუხლი 12. პასუხისმგებლობა "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისათვის

ამ კანონის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტი

ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1996 წლის 15 ოქტომბერი.

Приложение 2

Закон о Разрешениях Охраны Окружающей Среды

Приложение 2

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

ბ ა რ ე მ ო ს დ ა ც ვ ი თ ი ნ ე ბ ა რ თ ვ ი ს

შ ე ს ა ხ ე ბ

Закон о Разрешении Охраны
Окружающей Среды

ეს კანონი აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ს.წ.ოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს.

კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

კანონი არ არეგულირებს საქმიანობაზე სხვაგვარი ნებართვის გაცემას.

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

კანონის მიზანია:

1. დაიცვას საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობა, კერძო ვარემო, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობანი.

2. უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოსახლეობის ძირითადი უფლება - მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი საქმიანობის და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე და ასევე, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, გარემოსდაცვით სფეროში სახელმწიფოს ნაწილობრივი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

3. გაითვალისწინოს სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მუხლი 2. კანონის ამოცანა

კანონის ამოცანაა:

1. ჩამოაყალიბოს და დაიცვას ინვესტორის, საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობები საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის სფეროში.

2. ხელი შეუწყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან და რაციონალურ გამოყენებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

"საქმიანობა" - სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება.

"ინვესტორი" - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არის საქმიანობის განხორციელების ინიციატორი და მიმართავს გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემ ორგანოს საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად.

"გარემოსდაცვითი ნებართვა" - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების წერილობითი გადაწყვეტილება. მისი შინაარსი, ფორმა (გაფორმების წესი) და გაცემის პროცედურა განსხვავებულია სხვადასხვა კატეგორიის საქმიანობისათვის. გარემოსდაცვითი ნებართვა არის ინტეგრირებული ნებართვა, რომელიც შეიცავს ნებართვას უპირობოდ და ნარჩენების განთავსებაზე და სხვა.

"საკონსულტაციო ფირმა" - იურიდიული პირი, რომელსაც წესდების შესაბამისად უფლება აქვს გასწიოს კონსულტაცია გარემოს დაცვის სფეროში.

"გარემოს დაცვის ნორმები" - გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით დაწესებული გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები - ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები; ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები; რადიაციული ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები; - გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები; გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები; ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი; გარემოზე დატვირთვის ნორმები.

"მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება" - ისეთი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის შემუშავება.

"გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანო" - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები, კერძოდ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური (საქალაქო) სამმართველოები, ასევე ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი.

"გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადგილობრივი ორგანო" - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური (საქალაქო) სამმართველოების, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის რაიონული სტრუქტურული ქვედანაყოფები.

"საუკეთესო ტექნოლოგია" - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია ინვესტორისათვის.

გარემონდაცვითი ნაპართვის გაცემის

პროცედურა

მუხლი 4. საქმიანობის კატეგორიები

1. ამ კანონის შესაბამისად საქმიანობა იყოფა ოთხ კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით.

2. პირველ კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

პირველი კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება:

ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება,

წიაღისეული რესურსების მოპოვება (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობისა) და მინერალური ნედლეულის გამდიდრება;

მინერალური ნედლეულის მოპოვებასთან და გამდიდრებასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობა;

ღრმა ბურღვა, განსაკუთრებით ღრმა ცირკულაციის თერმული წყლების მოსაპოვებლად გამოიზნული საშუალები;

სამთო გამონამუშევრების შეგროვება და მათ განთავსებასთან დაკავშირებული საშუალები.

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა

ნავთობნედლეულის გადამუშავება და ნავთობქიმიური წარმოება;

ნახშირის გაზიფიცირება და გათხვევა;

ნახშირის დაკოქსვა;

ნახშირისა და ლიგნიტის ბრიკეტირება;

თბოელექტროსადგურებისა და სხვა თერმული ობიექტების მშენებლობა (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის);

გაზის, ორთქლის, ცხელი წყლისა და ელექტროენერჯის მაგისტრალურ გადამცემ საშუალებათა მშენებლობა;

ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის) მშენებლობა;

კაშხლებისა და ხელოვნური წყალსაცავების, სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა;

ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა;

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;

ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამომუშავებული ბირთვული საწვავის გადამუშავება.

გ) სოფლის მეურნეობა

თევზის სარეწი მიზნით მოშენება ბუნებრივ წყალსატევებში;

მიწების სამელიორაციო საშუალებების წარმოება;

სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება (50 ჰექტარზე მეტი ფართობის);

მოსალოდნელი საშიში სტიქიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება.

დ/) კვების მრეწველობა

თევზისა და ცხოველური ძელებისგან ფქვილის წარმოება;
მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება;
სახამებლის სამრეწველო წარმოება;
კონსერვის წარმოება (წელიწადში 5000 ტონაზე მეტი ნედლეულის გადამამუშავებელი
ობიექტები);

ლუდსახდელი, ლიქორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება
(წელიწადში 30 მილიონ ლიტრზე მეტი მწარმოებლობის ობიექტები).

ე/) ქიმიური მრეწველობა

ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის ქიმიური წარმოება; მათ შორის:
ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური
ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიური
საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიური ნივთიერებების (რეზინის ან
პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი
ნივთიერებების წარმოება და შეფუთვა; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის
ელექტროდების დამზადება; მაცივრების წარმოება.

ვ/) მეტალურგია

ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის მეტალურგიული წარმოება.

ზ/) მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა

მანქანათსაშენი, მათ შორის საავტომობილო, გემთსაშენი, სარკინიგზო და საავიაციო
წარმოება;

გემთსაშენი, სარკინიგზო და საავიაციო სარემონტო წარმოება;
ძრავების, ტურბინებისა და რეაქტორების წარმოება და მათი გამოცდა.

თ/) საშენ მასალათა მრეწველობა

ნებისმიერი წარმოება, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;
ცემენტის წარმოება;
ასფალტის წარმოება;
მინისა და მინის პროდუქციის წარმოება.

ი/) ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობა

მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების წარმოება;
ხელოვნური მინერალური ბოჭკოს წარმოება;
ცელულოზის, ქაღალდისა და მუყაოს წარმოება;
ტყავის გადამამუშავებელი წარმოება;
მაუდ-კამეოლის (მატყლის გამწმენდი, გაუცხიმოვნებელი და გამთეთრებელი)
კომბინატის მშენებლობა.

კ) ნარჩენების გადამამუშავება და განთავსება

საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების განთავსება, მათი
სამარხების, გადამუშავებისა და დაწვის ქარხნების განთავსება და ფუნქციონირება;
ტოქსიკური, სახიფათო და რადიაქტიული ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების
განთავსება-ფუნქციონირება და მათი გაუვნებელყოფა.

ლ) საცავეების განთავსება-ფუნქციონირება

გაზის, ნავთობის, ნახშირის, ნავთობქიმიური პროდუქტების მიწისზედა და მიწისქვეშა
საცავეების განთავსება-ფუნქციონირება;
რადიაქტიურ ნივთიერებათა საცავეების განთავსება-ფუნქციონირება.

მ) ინფრასტრუქტურული გეგმების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება

ურბანიზაციისა და ქალაგგეგმარების პროგრამები;
მრეწველობის განვითარების პროგრამები;
ენერგოსისტემის განვითარების პროგრამები;
დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების პროექტები;
ტყეთმომწყობის პროექტები (სატყეო და სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციისა და
გაძლოლის პერსპექტიული გეგმების პროექტების ჩათვლით);
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების პროგრამები;
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (რაიონების) მიწათმომწყობის
სქემები;
საავტომობილო გზების, რკინიგზების და აეროდრომების, ხიდების და ესტაკადების
პროექტები;
ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების პროექტები;
საზღვაო პორტებისა და ტერმინალების პროექტები;
მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების
პროექტები;
სასტუმრო და საკურორტო კომპლექსების პროექტები;
სპორტული კომპლექსებისა და ნაგებობების პროექტები;
ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულოზის საავადმყოფოების პროექტები;
დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამები;
საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა
ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების გეგმები და პროექტები;
საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების
უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის გამიზნული, ყველა სახის სამეურნეო-
საინჟინრო ობიექტების განლაგების ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი
მნიშვნელობის პროგრამები და პროექტები.

ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობა საჭიროებს გარემოსდაცვით ნებართვას.

ინფრასტრუქტურული გეგმები, პროექტები და პროგრამები საჭიროებენ
გარემოსდაცვით ნებართვას სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების
მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღების, მოწონების ან დამტკიცების წინ.

გარემოსდაცვით ნებართვას ამ კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი
ნაწილებია:

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). პროცედურა ტარდება ამ კანონის III თავის
შესაბამისად;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

3. მეორე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ რეგიონის გარემოზე, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

მეორე კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება:

ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება

წიაღისეული ნედლეულის საკვლევი და სამთო სამუშაოები;
მცირე ზომის (100 000 ტონამდე წელიწადში) საშენი, ინერტული და დეკორატიული მასალების კარიერების მუშაობა და დაძიების სამუშაოები;
მტკნარი სასმელი და მინერალური წყლების დაძიების ბურღვითი სამუშაოები.

ბ) ენერგეტიკული მრეწველობა

სამრეწველო დანიშნულების თბოელექტროსადგურების და სხვა თერმული საწარმოების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა;
ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა.

გ) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა

ყამირი მიწებისა და ბუნებრივი (ხელუხლებელი) ტერიტორიების გამოყენება ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის;
სასმელი და სარწყავი წყლებით მომარაგების შიდასამეურნეო სისტემების მშენებლობა-ფუნქციონირება;
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (30-დან 50 ჰექტარამდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
მეფრინველეობის და მეცხოველეობის კომპლექსური ფერმების მშენებლობა;
შარდოვანის მიღება მეცხოველეობიდან;
მარიკულტურისა და აკვაკულტურის ფერმების შექმნა;
თევზსაჭერი და სამონადირეო მეურნეობების შექმნა;
შაქრის წარმოება;
ხილფაფის, ხილის ვაეინისა და წველების წარმოება;
ლუდსახდელი, ლიქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 20-დან 30 მილიონ ლიტრამდე წარმადობის ობიექტები);
რძის პროდუქტების წარმოება;
საფუარის წარმოება;
შესაბოლოო საწარმოების შექმნა;
ცხოველთა ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა;
მარცვლეული საკვების დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა;
უალკოჰოლო, ღვინის და სპირტიანი სასმელების ბოთლებში ჩამოსასხმელი საწარმოების შექმნა;
მიწების რეკულტივაცია (100 ჰექტარზე მეტი ფართობის);

კონსერვის წარმოება (წელიწადში 3000-დან 5000 ტონამდე ნედლეულის
გადამამუშავებელი ობიექტები).

დ/) სატყეო მეურნეობა

სატყეო ფონდის მიწების (100 ჰექტარზე მეტი ფართობის) არასატყეო-სამეურნეო
დანიშნულებით გამოყენება;

ტყის ჭრა - 500 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყეაფზე (ყველა სახეობის ჭრის
ჩათვლით).

ე/) სხვა საქმიანობა

ბეჭდვითი წარმოება;

მერქნის და ხის ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა;

მინერალური და საიზოლაციო ბამბის საწარმოების მშენებლობა;

კირქვის, ცარცის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;

კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის საშუალებები;

ბოჭკოს საშრობი წარმოება;

აგურის და კაფელის დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;

თაბაშირის ფილების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;

სამშენებლო კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა;

კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის საშუალებები;

მინერალური ნედლეულისგან სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმოების
შექმნა;

ქიმიური პროდუქტების გადასატანი ცისტერნების სარეცხი საწარმოების მშენებლობა.

გარემოსდაცვით ნებართვას მეორე კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. პროცედურა ტარდება კანონმდებლობით
დადგენილი წესით;

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

4. მესამე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელიც თავისი მასშტაბით,
განლაგებით და შინაარსით არ გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას გარემოზე.

მესამე კატეგორიის საქმიანობას განეკუთვნება:

ა/) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა

სამკურნალო მცენარეული რესურსების მოპოვება ბუნებაში;

სასაკლაოების მოწყობა;

ყავისა და მზესუმზირის მოსახალი საწარმოების შექმნა;

კვერცხის ნაწარმის დამამზადებელი (წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის)
საწარმოების შექმნა;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (20-დან 30 ჰექტარამდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (წელიწადში 200 ტონაზე მეტი წარმადობის) შექმნა;

მარცვლეულის გასაშრობი, გასაწმენდი, შესანახი და სასილოსე კომპლექსის მშენებლობა;

უალკოჰოლო სასმელების წარმოება;

თამბაქოს წარმოება;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი შენობების და ნაგებობების მშენებლობა;

სამრეწველო მნიშვნელობის სათბურების მშენებლობა;

მარცვლეულის შესანახი და გადამამუშავებელი შენობების, ნაგებობებისა და საწარმოების მშენებლობა;

მცენარეთა ქიმიური დამცავი საშუალებების და მინერალური სასუქების საწყოების მშენებლობა;

საკონსერვო წარმოება (წელიწადში 2000-დან 3000 ტონამდე ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები);

ლუდსახდელი, ლიქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 10-დან 20 მილიონ ლიტრამდე ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტები);

ბ) სატყეო მეურნეობა

სატყეო ფონდის მიწების (50-დან 100 ჰექტარამდე ფართობის) არასატყეო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

ტყის ჭრა - 100-დან 500 ჰექტარამდე ფართობის ტყეკაფზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით).

გ) სხვა საქმიანობა

სელის წარმოება;

ხის სახერხი საწარმოების (წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე მეტი წარმადობის) შექმნა;

მერქნის შესანახი (სახმელეთო, წყლის შესასხურებელი მოწყობილობით, ან წყალზე 1000 კუბურ მეტრზე მეტი) ობიექტების მშენებლობა;

კერამიკული საწარმოების მშენებლობა;

შიდასამეურნეო საავტომობილო გზების გაყვანა;

ბენზინის გასამართი სადგურების მოწყობა;

იალქნიანი ნაგებობების ნავსაყუდლების გამართვა;

საავადმყოფოების სასტერილიზაციო მოწყობილობების საქმიანობა ეთილენის ოქსიდის გამოყენებით;

კომუნალური სამრეცხაოების მოწყობა;

საავადმყოფოების მშენებლობა.

მესამე კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები.

ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საზოგადოებრიობის ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

5. მეოთხე კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელიც არ შედის ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში და გამოიწვევს უმნიშვნელო ზემოქმედებას გარემოზე.

მეოთხე კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობის ჩამონათვალს შეიმუშავენ და "გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურით დადგენილ მეოთხე კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალის შესახებ" დებულებით ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

აღნიშნული კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გაცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანო.

ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. პროცედურა ტარდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. განაცხადი გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად

1. საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორი ვალდებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მის რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოსა და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს წარუდგინოს განაცხადი.

2. ინვესტორი ვალდებულია განაცხადი წარადგინოს სრულად, წერილობითი ფორმით.

3. განაცხადი უნდა შეიცავდეს დამასაბუთებელ დოკუმენტაციას, ინვესტორის განცხადებას საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის).

განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) დაგეგმილი საქმიანობის დასახელება, ინვესტორის ვინაობა და მისამართი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- გ) საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი, საქმიანობის მიზნები;
- დ) საქმიანობისთვის საჭირო ნაგებობების სქემა;
- ე) ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;
- ვ) ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მისაღებ ნივთიერებათა ჩამონათვალი;
- ზ) იმ ღონისძიებათა დეტალური აღწერა, რომლებიც დაგეგმილია გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად;
- თ) გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალი და რაოდენობა;
- ი) მოსალოდნელი ემისიის მოცულობა და სახეობა;
- კ) ემისიის მოცულობის დასადგენად დაგეგმილი მეთოდები;
- ლ) საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, ოდენობა, მათი განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად და გადასამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
- მ) ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები.

4. პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საქმიანობისათვის ინვესტორი ვალდებულია განაცხადთან ერთად წარადგინოს საქმიანობის მოკლე ანოტაცია, რომელშიც უნდა აისახოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დასახელება და ინვესტორის ვინაობა;
- დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი;
- საქმიანობის მიზნები;
- საქმიანობის კატეგორია;

მისამართი, სადაც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

ამ ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია გამოქვეყნდება პრესაში და მიეწოდება საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

5. ინვესტორს უფლება აქვს დამატებით წარადგინოს ის მონაცემები, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში მიიჩნევს საჭიროდ.

6. განაცხადის სრულად მიღების შემდეგ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები იწყებენ კანონით გათვალისწინებულ პროცედურას.

7. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს გარემოსდაცვითი ნებართვის შინაარსსა და ფორმას (გაფორმების წესს), ასევე, გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმას "გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარსადგენი განაცხადისა და გარემოსდაცვითი ნებართვის გაფორმების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

მუხლი 6. სახელმწიფო, საწარმოო და კომერციული საიდუმლოება

1. ინვესტორი ვალდებულია მიაწოდოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ტექნოლოგიური პროცესის სრული სქემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმიანობა შეიცავს საწარმოო, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას.

განაცხადის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს საწარმოო, კომერციულ და სახელმწიფო საიდუმლოებას, ინვესტორმა ცალკე უნდა წარადგინოს.

2. საიდუმლოს შემცველი ნაწილი ეტიკეტირებული უნდა იყოს და ინახებოდეს ცალკე. საზოგადოებრიობისათვის ინფორმაციის ეს ნაწილი ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს.

3. გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საიდუმლოების დაცვა. შესაბამისი თანამდებობის პირებს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების უფლება ეძლევათ კანონით დადგენილი წესით.

4. პირები, რომლებსაც ამ კანონის შესაბამისად ექნებათ საიდუმლოების შემცველი ნაწილის გაცნობის უფლება, საიდუმლოს გამჟღავნების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

1. პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორი ვალდებულია ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

2. გზშ სრულყოფილად ჩატარების და მასში საზოგადოებრიობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ინვესტორს უფლება აქვს:

ჩაატაროს გზშ-ის საჯარო განხილვა ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;

უზრუნველყოს გზშ მიმდინარეობის პროცესში ჩატარებული გამოკვლევის მასალების მისაწვდომობა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისთვის.

3. პირველი კატეგორიის საქმიანობაზე განაცხადის სრულად მიღების შემდეგ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია შეასრულოს ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც მოიცავს საქმიანობის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას (სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურა

რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით) და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობას.

4. განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პრესაში განაცხადთან ერთად წარმოდგენილი მოკლე ანოტაციის გამოქვეყნება, რომელსაც უნდა დაერთოს ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

ბ) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები;

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ჩაატაროს საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ინვესტორის, გარემოს დაცვის სამინისტროს, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;

6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა 3 თვე.

7. განაცხადის ასლი ინახება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმ ორგანოში, სადაც არის დაგეგმილი საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოთხოვნისას გაეცნონ განაცხადს (კომერციული, საწარმოო და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნაწილის გარდა) განაცხადის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

8. ამ ვადაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია:

ჩაატაროს დამასაბუთებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოს კანონმდებლობას;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს;

დაადგინოს ღონისძიებები, რომელთა შემუშავება საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

მუხლი 8. მეორე კატეგორიის საქმიანობაზე

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

1. მეორე კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადის სრულად მიღების შემდეგ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც მოიცავს საქმიანობის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობას.

2. განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს განაცხადთან ერთად წარმოდგენილი მოკლე ანოტაციის გამოქვეყნება, რომელსაც უნდა დაერთოს ინფორმაცია

საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

ამისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში;

ბ) ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წერილობითი შენიშვნები.

3. განაცხადის ასლი ინახება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმ ორგანოში, სადაც არის დაგეგმილი საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოთხოვნისას გაეცნონ განაცხადს (კომერციული, საწარმოო და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნაწილის გარდა) განაცხადის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ჩაატაროს საქმიანობის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ინვესტორის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა განაცხადის მიღებიდან ორი თვე. ამ ხნის განმავლობაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია:

ჩაატაროს დამასაბუთებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოს კანონმდებლობას;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს.

დაადგინოს ღონისძიებები, რომელთა შემუშავება საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

მუხლი 9. მესამე კატეგორიის საქმიანობაზე

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

1. მესამე კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადის სრულად მიღების შემდეგ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანოები (შემდგომ: რეგიონალური ორგანო) და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები ვალდებული არიან შეასრულონ კანონის ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც მოიცავს საქმიანობის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და საზოგადოებრიობის ინფორმირებას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

2. საზოგადოებრიობის ინფორმირებისათვის განაცხადის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები ვალდებული არიან უზრუნველყონ პრესაში საქმიანობის შესახებ განაცხადთან ერთად წარმოდგენილი მოკლე ანოტაციის გამოქვეყნება.

3. განაცხადის ასლი ინახება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმ ორგანოში (ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებში), სადაც არის დაგეგმილი საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ მოთხოვნისას გაეცნონ განაცხადს (კომერციული, საწარმოო და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნაწილის გარდა) განაცხადის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალურ ორგანოებსა და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებში საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა ორი თვე. ამ ვადის განმავლობაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები ვალდებული არიან :

ჩაატარონ დამასაბუთებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა;

დაადგინონ, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოს კანონმდებლობას;

დაადგინონ, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს;

დაადგინონ ღონისძიებები, რომელთა შემუშავება საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

მუხლი 10. მეოთხე კატეგორიის საქმიანობაზე

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

1. მეოთხე კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანო (შემდგომ: ადგილობრივი ორგანო) განაცხადის სრულად მიღების შემდეგ იწყებს ამ კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, რომელიც მოიცავს საქმიანობის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას.

2. რეგიონალურ ან ადგილობრივი ორგანოში საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანო ვალდებულია :

ჩაატაროს დამასაბუთებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოს კანონმდებლობას;

დაადგინოს, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს;

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

მუხლი 11. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის

საფუძვლები

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები არ გასცემენ საქმიანობაზე ნებართვას, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დაირღვევა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის ნორმები და თუ საქმიანობის განხორციელების ადგილას გარემოს მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული იქნება საქმიანობაში იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ნორმებს;

გ) საქმიანობის (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის) განხორციელება არ იქნება მიზანშეწონილი მისი განლაგების, შინაარსის ან მასშტაბის გამო;

დ) საქმიანობის განხორციელების შედეგად არ ირღვევა არსებული გარემოს დაცვის ნორმები, მაგრამ არსებობს ანალოგიური საქმიანობის ან მისი რომელიმე ნაწილის განხორციელების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრეცედენტი.

2. საქმიანობაზე ნებართვის გაუცემლობის შემთხვევაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები დადგენილი ვადის (3 თვე პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის, 2 თვე მეორე და მესამე კატეგორიის საქმიანობისთვის, 1 თვე მეოთხე კატეგორიის საქმიანობისათვის) გასვლის შემდეგ წერილობით აცნობებენ ინვესტორს თავის გადაწყვეტილებას შესაბამისი დეტალური დასაბუთებით.

მუხლი 12. საქმიანობაზე ნებართვის გაცემის საფუძვლები

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები გასცემენ საქმიანობაზე ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში არ დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

ბ) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში არ დაირღვევა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის ნორმები;

გ) საქმიანობის განხორციელება მიზანშეწონილი იქნება მისი განლაგების, შინაარსის ან მასშტაბის გამო (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის).

2. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელების შედეგად განხორციელების ადგილზე დაირღვევა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის ნორმები და ეს გამოწვეული იქნება საქმიანობის განხორციელების ადგილზე განთავსებული სხვადასხვა საწარმოების ჯამური ემისიის გაზრდით, განსახილველ საქმიანობაში კი დაგეგმილია საუკეთესო ტექნოლოგიის გამოყენება, მაშინ ინვესტორს მიეცემა ამ საქმიანობის განხორციელების უფლება. უკვე არსებული საწარმოებისთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გადასინჯავს ჯამური ემისიის ნორმებს და დაადგენს იმ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ არსებულმა საწარმომ უნდა დაიცვას ემისიის ახალი ნორმები.

3. საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შემთხვევაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები დადგენილი ვადის (3 თვე პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის, 2 თვე მეორე და მესამე კატეგორიის საქმიანობისთვის, 1 თვე მეოთხე კატეგორიის საქმიანობისათვის) გასვლის შემდეგ წერილობით აცნობებენ ინვესტორს თავის გადაწყვეტილებას და იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა გატარება აუცილებელი იქნება საქმიანობის განხორციელების შემდეგ.

მუხლი 13. ინვესტორის უფლება-მოვალეობანი

1. ინვესტორი ვალდებულია მიწოდოს ობიექტური მონაცემები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მის რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს და საკონსულტაციო ფირმას (პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

არაობიექტურად მიწოდებული ინფორმაციისთვის ინვესტორი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქმიანობაზე ნებართვის მიღების შემთხვევაში ინვესტორი ვალდებულია:

ა) განახორციელოს დამასაბუთებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქმიანობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად;

ბ) საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ შეასრულოს გარემოზე ზემოქმედების შემამკირებელი ის ღონისძიებები, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები.

3. ინვესტორი უფლებამოსილია ტენდერის საფუძველზე შეარჩიოს საკონსულტაციო ფირმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩასატარებლად.

4. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ ეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების გადაწყვეტილებას, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება

მუხლი 14. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) ნიშნავს დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურას, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული ელემენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

2. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებზე (მემკვიდრეობაზე) და სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის).

3. ამ კანონის შესაბამისად, თუ ინვესტორის მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება პირველ კატეგორიას, მაშინ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აკრძალულია პირველი კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის გაცემა მათი გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა.

4. საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან, თუ: ინვესტორი იმეორებს ან აგრძელებს ადრე დაწყებულ საქმიანობას, რომლისთვისაც უკვე შესრულდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა და მისი ხელახალი განმეორება არ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას.

საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ სასწრაფოდ იქნეს მიღებული.

გადაწყვეტილებას გარემოს ზემოქმედების შეფასებისგან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ ინვესტორის თხოვნით იღებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

5. საკონსულტაციო ფორმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს გარემოზე ზემოქმედების ობიექტურად შეფასებისათვის.

6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგების საქართველოს კანონმდებლობასთან და გარემოს დაცვის ნორმებთან შესაბამისობის ექსპერტიზის მართებულობაზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შემსრულებლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ ექსპერტიზის ობიექტურად ჩატარებისთვის.

7. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები ინვესტორს ეკისრება.

მუხლი 15. გარემოში ზემოქმედების შეფასების

საჯარო განხილვის ჩატარების პირობები

1. ინვესტორს უფლება აქვს ჩატაროს გზშ-ის საჯარო განხილვა გზშ-ის მიმდინარეობის პროცესში.

2. ინვესტორი უფლებამოსილია უზრუნველყოს განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

3. განხილვა შეიძლება ჩატარდეს საჯაროდ და მასზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოებრიობის ყველა დაინტერესებულ წარმომადგენელს.

4. განხილვა შეიძლება ჩატარდეს იმ რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 16. გარემოში ზემოქმედების შეფასებაში

საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა

1. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიაწოდონ ინვესტორს მოსაზრებები და შენიშვნები პირველი კატეგორიის საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით ინვესტორი ვალდებულია გაეცნოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლების წერილობით მოსაზრებებსა და შენიშვნებს პირველი კატეგორიის საქმიანობასთან დაკავშირებით და გაითვალისწინოს მათი არგუმენტები დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საბოლოო სახით გაფორმების პროცესში.

3. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ საკუთარი ხარჯებით აწარმოონ გარემოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასება პირველი კატეგორიის საქმიანობისათვის და წარუდგინონ იგი გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემ ორგანოს.

4. გარემოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

5. თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენელი ჩათვლის, რომ შეიქმნა მისი უფლებები, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 17. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა პირველი

კატეგორიის საქმიანობის შემთხვევაში

1. ინვესტორმა (პირველი და მეორე კატეგორიის საქმიანობის დაგეგმვისა და ასევე გზშ-ის ჩატარების პროცესში მოწყობილი საჯარო განხილვის დროს) ინფორმაციის გაცემაზე შესაბამისი დასაბუთებით უარი შეიძლება თქვას მხოლოდ მაშინ, თუ:

ა) მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან საწარმოო საიდუმლოებას;

ბ) გზშ-სთან დაკავშირებული კონკრეტული სახის გამოკვლევა ჯერ არ არის დამთავრებული, შესაბამისად, ინფორმაცია არ არის სრულყოფილი და არ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

2. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საზოგადოებრიობის წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 18. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის
პროცედურის დაშინანსების წესი**

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესის ფარგლებში გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურის ორგანიზების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯები ფინანსდება კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 19. პასუხისმგებლობა "გარემოსდაცვითი ნებართვების
შესახებ" კანონის დარღვევისათვის**

ამ კანონის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტი

ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1996 წლის 15 ოქტომბერი.

Приложение 3

Записи собраний и консультативных встреч

Приложение 3: Список собраний и консультаций

Среда, 13 августа 1997

Отъезд Гамбург - Тбилиси

Четверг, 14 августа 1997

Прибытие в Тбилиси, путешествие Тбилиси - Поти

Встреча с : Г-ном Деври Гвалия, Заместитель генерального менеджера морского порта Поти.

Пятница, 15 августа 1997

Встреча с : Г-ном Джамбул Нинидзе, Первый Заместитель Директора, Морское Порт Батуми.
Г-ном Валери Бекая, Заместитель главного инженера, Батумский морской порт

Суббота, 16 августа 1997

Встреча с: Г-ном Кукури Какулия, Экологический отдел, морской порт Поти
Г-ном Леваном Бубутеишвили, Экологический отдел, морской порт Поти

Понедельник, 18 августа 1997

Встреча с: Г-ном Анзором Ткебучава,
Консультант по окружающей среде мэра города, муниципалитет Поти

Вторник, 19 августа 1997

Встреча с: Г-ном Тариелом Гоголи, Инспектор муниципалитета Поти
Г-ном Гурамом Джанджгава, Департамент морской инспекции, Поти

Среда, 20 августа 1997

Посещение порта с: Г-ном Серго Цыпа, Инженер по реконструкции порта, морской порт Поти

Четверг, 21 августа 1997

Встреча с: Г-ном Г. Вачнадзе, Управляющий директор Института планирования и развития международного бизнеса, Тбилиси

Пятница, 22 августа 1997

Встреча с: Док. Мамокой Сантладзе, Заместитель начальника,
Отдел международных отношений, Министерство транспорта, Тбилиси
Профессором Резо Чагеслишвили, Заместитель министра,
Г-ном Зурабом Тварткиладзе, Первый заместитель министра и
Г-ном Сосо Цабадзе, Министерство защиты окружающей среды, Тбилиси

Суббота, 23 августа 1997

Встреча с: Г-ном Аидмиром Лагвилава, Экологический отдел полиции, Поти

Понедельник, 25 августа 1997

Посещение порта с: Г-ном Кукури Какулия и
Г-ном Леваном Бубутеишвили, Экологический отдел, морской порт Поти

Среда, 27 августа 1977

Посещение порта, Морской порт Батуми

Четверг, 28 августа 1997

Встреча с: **Г-ном Тенгизом Гоготишвили**, Начальник конвенционной морской инспекции Черного моря, Батуми

Пятница, 29 августа 1997

Встреча с: **Г-ном Нико Чарквиани**, Заместитель менеджера морского порта Батуми
Г-ном Мерабом Давитадзе, Инженер по окружающей среде морского порта Батуми
Г-ном Асланом Смирба, Генеральный Менеджер морского порта Батуми

Понедельник, 1 сентября 1997

Встреча с: **Г-ном Отари Каландадзе**, Начальник отделения экспертов по экологии, Министерство защиты окружающей среды Аджарии, Батуми
Капитаном Валерианом Имнаишвили, Начальник отделения юридических и иностранных дел, Военный департамент Грузии, Батуми

Вторник, 2 сентября 1997

Встреча с: **Г-ном Тенгизом Гоготишвили**, Начальник конвенционной морской инспекции Черного моря, Батуми
Инспекция порта и нефтяного терминала

Четверг, 4 сентября 1997

Scoping Meeting
Коммерческий морской порт Поти

Пятница, 5 сентября 1997

Встреча с: **Г-ном Тенгизом Гоготишвили**, Начальник конвенционной морской инспекции Черного моря, Батуми

Суббота, 6 сентября 1997

Встреча с: **Г-ном Акаки Комахидзе**, Директор экологического и рыбного института Черного моря, Батуми

Понедельник, 8 сентября 1997

Встреча с: **Г-ном Тенгизом Гоготишвили**, Начальник конвенционной морской инспекции Черного моря, Батуми
Г-ном Акаки Комахидзе, Директор экологического и рыбного института Черного моря, Батуми

Вторник, 9 сентября 1997

Информационно-консультативная встреча
Морской порт Батуми

Среда, 10 сентября 1997

Отъезд Батуми - Тбилиси

Четверг, 11 сентября 1997

Отъезд Тбилиси - Гамбург

Вторник, 20 января, 1998

Отъезд из Гамбурга в Трабзон через Стамбул

Среда, 21 января, 1998

Трабзон→ Поти

Пятница, 23 января, 1998

Встреча с: **Делегация Всемирного Банка**
Миссия Всемирного Банка в Грузии, Тбилиси

Понедельник, 26 января, 1998

Встреча с: **Делегация Всемирного Банка и**
Г-ном Деви Гвалия, Зам. генерального директора, Коммерческий морской порт Поти

Вторник, 27 января, 1998

Встреча с: **Делегация Всемирного Банка и**
Г-ном Скот Беитс, Инженер строительного проекта, GPC, Супса

Среда, 28 января, 1998

Встреча с: **Г-ном Рене ван Лиэрп**, Инженер проекта, Поти
Г-ном Гураи Адамия, Главный инженер, Офис Реконструкции потийского морского порта, Поти

Вотрник, 29 января, 1998

Встреча с: **Г-ном Тенгиз Гоготишвили**,
Начальник конвенционной инспекции по защите Черного моря, Батуми
Г-ном Акакм Комахидзе, Директор рыбного института и экологии Черного моря,
Батуми
Зам. главного инженера Железнодорожной администрации, Батуми

Пятница, 30 января, 1998

Поти → Тбилиси

Встреча с: **Министром по защите окружающей среды и Делегацией всемирного Банка**,
Министерство по защите окружающей среды, Тбилиси

Приложение 4

Список Негосударственных Организации

Приложение 4: Список участников негосударственных организации
инфармационно - консультативной встречи министерства защиты
окружающей среды и природных ресурсов Грузии

1	Партия " Зелённых "	Нана Немсадзе, Руслан Симонидзе Т: 95 20 33
2	" .Ковчаг Ноя" " *	Иасон Бадридзе 22 57 91 , 2900 58
3	Посеодон *	Давид Николаишвили Т: 35 19 14, 95 20 93, 94 12 11
4	" "Елкана" "	ZЗураб Карбелашвили Т: 35 19 14, 23 06 19
5	" "С. А .Е.М ." *	Гиорги Дарцимелиа Т: 22 61 07, 99 53 37
6	"Ломиса"	Мзиа Лолашвили Т.: 99 60 22, 36 01 13, 93 25 10, 51 10 20
7	"Римский Клуб Грузии"	Елеонора и Медея Абашидзе Т.: 99 84 08, 38 04 06
8	"Зелённая Волна" (радио)	Мака Джахуа Т.: 99 71 69, 39 10 12
9	GUPA GEORGIA **	Ельза Габедава Т.: 99 25 55, 99 60 45
10	"Арагви Скаутс"	Нана Болашвили Т.: 23 22 93
11	" "Вита Центр" "	Шота Маглакелидзе Т.: 30 22 53, 98 39 98
12	"Асоциация боилогического мониторинга" *	М. М. Журули, К. Чомахидзе, М Чичуа Т.: 95 96 02
13	"Асоциация экологии и туризма Грузии"	Бесо Баркалаия Т.: 39 77 21, 95 78 79
14	"Мориони" (SCпелиологический клуб)	Мамука Николадзе Т.: 96 15 38, 95 38 26
15	"Грузинский центр сохранения дикой природы "	Т.: 22 34 47
16	"Центр гражданского воспитания и природоведения"	Заза Киквидзе Т.: 98 38 43, 98 45 41
17	WWF (тбилиси офис) **	Паата Шаншиашвили Т.: 99 84 64
18	"Айет" *Ассоциация по защите побережия	Гиа софадзе Т.: 38 99 14, 99 85 10
19	"Природный фонд Грузии"	Мамука Салуквадзе Т.: 39 03 15, 51 48 54

* Организации которые рабртают или имеют тематическую работу о береговой зоне

**Авторы проекта об менеджменте и координатори Колхидского национального парка.